



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 81

20/09/2018

**სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მრჩეველთა საბჭოს
წევრად თამარ საბედაშვილის დანიშვნის შესახებ**

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14¹ მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N406 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 2 აგვისტოს N 79 ბრძანების მე-3 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თამარ საბედაშვილი (პ/ნ 01010000563) დაინიშნოს საქსტატის მრჩეველთა საბჭოს წევრად, აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით.
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი